სერტიფიცირებული ბუღალტრის სრული სასერტიფიკაციო პროგრამა

სასწავლო კურსის სილაბუსი მოდულისათვის - „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“

ა. ბუღალტრის პროფესიული და ეთიკური მოვალეობა

1. პროფესიული ქცევა და ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკური სტანდარტების დაცვა.

ა) კორპორაციულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით რჩევების მიცემისას წამოჭრილი ეთიკური და პროფესიული საკითხების შეფასება;

ბ) ბასს-თან შესაბამისობასთან დაკავშირებული ეთიკური და პროფესიული საკითხების შესაბამისობისა და მნიშვნელობის შეფასება.

2. ჭეშმარიტი და უტყუარი თვალსაზრისის წარმოდგენის ეთიკური მოთხოვნა და არაეთიკური ქცევის შედეგები

ა) კორპორაციული ანგარიშგების მომზადებისას მიღებული პროფესიული და ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პოტენციური ეთიკური გავლენის შეფასება;

ბ) კორპორაციული ანგარიშგების მომზადებისას ეთიკური პრინციპების დაუცველობის შედეგები;

გ) განსაზღვრეთ საწარმოსთან დაკავშირებული მხარეების ვინაობა. განსაზღვრეთ დაკავშირებული მხარის არსებობით გამოწვეული შედეგები და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების საჭიროება.

ბ. ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლები

1. ფინანსური ანგარიშგების როლი და შეზღუდვები, ინფორმაციის მომხმარებლებისა და კაპიტალის ბაზრების საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ა) მსჯელობა, კონცეპტუალური საფუძვლების მნიშვნელობის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მომზადებისათვის;

ბ) მსჯელობა, ფინანსური ანგარიშგების მიზნების თაობაზე, მათ შორის იმ ინფორმაციის განჟღავნების შესახებ, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ხელმძღვანელობის მიერ საწარმოო რესურსების მართვის შესაფასებლად და ფინანსური ანგარიშგების შეზღუდვების შესახებ;

გ) მსჯელობა, სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლების არსის შესახებ;

დ) ფინანსური ანგარიშგებისათვის წინდახედულობისა და შინაარსის ფორმაზე აღმატებულების პრინციპის როლის ახსნა;

ე) მსჯელობა შეფასებისას, გაურკვევლობის მაღალი დონის შესახებ, რომელმაც შესაძლოა ფინანსური ინფორმაცია ნაკლებად რელევანტური გახადოს;

ვ) შეაფასოთ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ელემენტების აღიარებას, აღიარების შეწყვეტასა და შეფასებას;

ზ) კრიტიკულად იმსჯელოთ და გამოიყენოთ, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებები და მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგრიშგებაში ელემენტების წარდგენის შესახებ.

გ. სხვადასხვა საწარმოთა ფინანსური შედეგების ანგარიშგება

1. ამონაგები

ა) განიხილეთ და გამოიყენეთ კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იყოს დაკმაყოფილებული, სანამ საწარმო შეძლებს ამონაგების აღიარების მოდელის გამოყენებას;

ბ) განიხილეთ და გამოიყენეთ ამონაგების აღიარების 5-საფეხურიანი მიდგომა, რომელიც უკავშირდება ამონაგებს, რომელიც მიღებულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკ-რულებიდან;

გ) გამოიყენეთ კრიტერიუმები, რომლის შესაბამისად ხელშეკრულების დანახარჯები აღიარებული იქნება აქტივის სახით;

დ) განიხილეთ და გამოიყენეთ ამონაგების აღიარება და შეფასება, შესასრულებელი ვალდებულების (რომელიც სრულდება დროთა განმავლობაში) გაყიდვის დაბრუნების უფლებით, საგარანტიო მომსახურების, ცვალებადი ანაზღაურების, მარწმუნებლისა და რწმუნებულის რეალიზაციისა და დაუბრუნებადი წინასწარგადახდილი თანხების ჩათვლით.

2. გრძელვადიანი აქტივები

ა) იმსჯელეთ და გამოიყენეთ, გრძელვადიანი აქტივების აღიარების დროისა და მათი საბალანსო ღირებულების განსაზღვრის საკითხების შესახებ, გაუფასურებისა და გადაფასების საკითხების ჩათვლით;

ბ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი იმ გრძელვადიან აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც უნდა გაიყიდოს შეწყვეტილი საქმიანობის ფარგლებში და იმსჯელეთ ამის შესახებ;

გ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი საინვესტიციო ქონებასთან დაკავ-შირებით მისი კლასიფიკაციის, აღიარებისა და შეფასების საკითხების ჩათვლით და იმსჯელეთ ამის შესახებ;

დ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი არამატერიალური აქტივების მი-მართ, შეძენის შემდგომი აღიარებისა და კლასიფიკაციის და შეფასების კრიტერიუმების ჩათვლით;

ე) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი ნასესხებ სახსრებთან მიმართებით.

3. ფინანსური ინსტრუმენტები

ა) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება და შეფასება;

ბ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება;

გ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა;

დ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია;

ე) ბუღალტრულად აღრიცხეთ წარმოებული ფინანსური და მარტივი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები;

ვ) ჩამოაყალიბეთ ჰეჯირების აღრიცხვის პრინციპი და ასახეთ ჰეჯირების რეალური ღირებულება, ფულადი ნაკადების ჰეჯირების ეფექტურობის ჩათვლით;

ზ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ძირითადი მიდგომა, მათ შორის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების საფუძველი;

თ) იმსჯელეთ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგებზე;

ი) იმსჯელეთ და გამოიყენეთ შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები.

4. იჯარა

ა) იმსჯელეთ და გამოიყენეთ მოიჯარის მიერ იჯარის ბუღალტრული ასახვის მოთხოვნები, მათ შორის იჯარის იდენტიფიკაცია და აქტივის გამოყენების უფლებისა და ვალდებულების შეფასება;

ბ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ მეიჯარის მიერ იჯარის ბუღალტრული ასახვა;

გ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ გარემოებები, როდესაც შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს საიჯარო ვალდებულების გადაფასება;

დ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ მიზეზები, რატომ ხდება იჯარის კომპონენტის განცალკევება ხელშეკრულების იმ კომპონენტისგან, რომელიც არ წარმოადგენს იჯარას;

ე) იმსჯელეთ, მოქმედი იჯარის სტანდარტის მიხედვით, იჯარის აღიარებიდან განთავისუფლების კრიტერიუმები;

ვ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციების ბუღალტრული ასახვის პრინციპები.

5. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ა) დაახასიათეთ და გამოიყენეთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, დადგენილშენატანიანი პროგრამისა და დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი;

ბ) აღრიცხეთ გადახდისა და შემცირებისას წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი.

გ) გამოიყენეთ „აქტივების ზღვრული სიდიდის“ ტესტი და აღრიცხეთ აქტუარული შემოსულობა და ზარალი.

6. მოგების გადასახადი

ა) გამოიყენეთ და იმსჯელეთ, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებისა და შეფასების შესახებ;

ბ) გამოიყენეთ და იმსჯელეთ, მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯის ან შემოსავლის აღიარების შესახებ;

გ) გამოიყენეთ და იმსჯელეთ, საწარმოთა გაერთიანების დროს გადავადებული გადასახადის ასახვის შესახებ.

7. ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები, საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ა) მოახდინეთ ანარიცხების, პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების, მათ შორის გარემოს-დაცვითი ანარიცხების აღიარება, აღიარების შეწყვეტა და შეფასება და იმსჯელეთ მის შესახებ.

ბ) მოახდინეთ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების აღრიცხვა და იმსჯელეთ მის შესახებ.

8. წილობრივი გადახდა

ა) გამოიყენეთ აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები წილობრივი გადახდის სამეურნეო ოპერაციებისათვის და იმსჯელეთ მის შესახებ;

ბ) აღრიცხეთ წილობრივი გადახდის გარიგებების შეცვლა, გაუქმება და გადახდა.

9. რეალური ღირებულების შეფასება

ა) იმსჯელეთ და გამოიყენეთ „რეალური ღირებულების“ შეფასებისა და „აქტიური ბაზრის“ განმარტებები;

ბ) განიხილეთ და გამოიყენეთ „რეალური ღირებულების იერარქია“;

გ) განიხილეთ და გამოიყენეთ „მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების“, „ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის“ და „ძირითადი ბაზრის“ პრინციპები;

დ) ახსენით გარემოებები, როდესაც ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს შეფასების მეთოდები.

10. მოთხოვნები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს) ანგარიშგების მიმართ

ა) იმსჯელეთ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სრული ვერსიისა და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფასს სტანდარტებს შორის ძირითად განსხვავებებზე სააღრიცხვო მიდგომაში;

ბ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ გამარტივებული მიდგომები, რომლებიც შემოთავაზებულია ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სტანდარტებში.

11. ანგარიშგების სხვა საკითხები

ა) გამოიყენეთ და იმსჯელეთ, სახელმწიფო გრანტებისა და სხვა სახის სახელმწიფო დახმარების ბუღალტრული აღრიცხვისა და განმარტებითი შენიშვნების მომზადების მეთოდების შესახებ;

ბ) გამოიყენეთ და იმსჯელეთ, ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარების და შემდგომი შეფასების პრინციპების შესახებ;

გ) ჩამოაყალიბეთ სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების პრინციპების გამოყენება შუალედურ ანგარიშგებაში;

დ) განიხილეთ და გამოიყენეთ მსჯელობა, რომელიც მოითხოვება სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების დროს, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში ბუღალტრული აღრიცხვისა და წინა პერიოდებში დაშვებული შეცდომების გასწორების ასახვისას.

დ. საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება

1. საწარმოთა ჯგუფის აღრიცხვა, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ჩათვლით

ა) იმსჯელეთ და გამოიყენეთ პრინციპები, რომელიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში განხორციელდა თუ არა საწარმოთა გაერთიანება;

ბ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ აღრიცხვის შეძენის მეთოდი, საწარმოთა ჯგუფების მიმართ, მყიდველის განსაზღვრისა და საწარმოთა გაერთიანების ღირებულების განსაზღვრის პრინციპების ჩათვლით;

გ) გამოიყენეთ აღიარების და შეფასების კრიტერიუმები იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში;

დ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის სააღრიცხვო მიდგომა;

ე) გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, ეტაპობრივად განხორციელებული საწარმოთა გაერთიანების მიმართ;

ვ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ კონტროლის პრინციპები;

ზ) განსაზღვრეთ და გამოიყენეთ საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროცედურები;

თ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ სხვა საწარმოებში მონაწილეობის წილის შეცვლის და კონტროლის დაკარგვის შედეგები;

ი) მოამზადეთ საწარმოთა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება იმ შემთხვევებში, როდესაც საანგარიშგებო პერიოდში ცალკეული საწარმოები იქნა გასხვისებული ან შეძენილი;

კ) გაანალიზეთ და გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი შვილობილი საწარმოსათვის, რომელიც შეძენილ იქნა შემდგომი გაყიდვის მიზნით;

ლ) განსაზღვრეთ და ჩამოაყალიბეთ ის შემთხვევები, როდესაც ჯგუფმა უნდა მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; გარემოებები, როდესაც ჯგუფს შეუძლია მოითხოვოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისგან გათავისუფლება; და რატომ შეიძლება დირექტორებს არ სურდეთ შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია და როდის არის ნებადართული ამის გაკეთება;

მ) მოამზადეთ საწარმოთა ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

2. მეკავშირე საწარმოები და ერთობლივი შეთანხმებები

ა) განსაზღვრეთ მეკავშირე საწარმოები;

ბ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ კაპიტალ-მეთოდი მეკავშირე საწარმოების აღრიცხვისას;

გ) გამოიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, მეკავშირე საწარმოების მიმართ;

დ) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ერთობლივი კონტროლის პრინციპები;

ე) იმსჯელეთ და გამოიყენეთ ერთობლივი საქმიანობის კლასიფიკაცია;

მოამზადეთ ერთობლივი საქმიანობის მხარეების ფინანსური ანგარიშგება.

3. საწარმოთა ჯგუფის სტრუქტურის ცვლილება

იმსჯელეთ და გამოიყენეთ საწარმოთა ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში;

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი საწარმო ახდენს ჯგუფის სტრუქტურის რეორგანიზაციას ახალი საწარმოს დაფუძნების გზით ან მშობელი საწარმოს ცვლილებით.

4. სამეურნეო გარიგებები უცხოურ ვალუტაში და უცხოური საწარმოები

ა) ჩამოაყალიბეთ და შეაფასეთ გარიგებები უცხოურ ვალუტასა და საქმიანობისა და წარდგენის ვალუტაში წარმოებული ოპერაციები.

ბ) მოახდინეთ უცხოური საწარმოების კონსოლიდაცია და აღრიცხეთ მათი გაყიდვა.

ე. ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის

ა) იმსჯელეთ და გამოიყენეთ, ფინანსური და არაფინანსური საქმიანობის შედეგების შესაბამისი ინდიკატორების შესახებ, მათ შორის შემოსავალი აქციაზე და დამატებითი საწარმოს საქმიანობის შედეგების მაჩვენებლების თაობაზე;

ბ) იმსჯელეთ კორპორაციული ანგარიშგების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული გაზრდილი მოთხოვნისა და არაფინანსური ანგარიშგების შესახებ სტანდარტების შემუშავების თაობაზე;

გ) შეაფასეთ გარემოსდაცვითი, სოციალური და ეთიკური ფაქტორების გავლენა საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასებაზე;

დ) იმსჯელე,თ ინტეგრირებული ანგარიშგების მიმდინარე საფუძვლების შესახებ, მათ შორის ინტეგრირებული ანგარიშგების მიზნების, კონცეფციების, სახელმძღვანელო მითითებებისა და შინაარსის შესახებ;

ე) განსაზღვრეთ სამეურნეო და გეოგრაფიული, ასევე საანგარიშგებო სეგმენტები;

ვ) დააკონკრეტეთ და იმსჯელეთ, იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც უნდა იქნეს წარდგენილი და საოპერაციო სეგმენტების შესახებ როგორი ინფორმაცია ამაღლებს საქმიანობის შედეგების ხარისხს და მდგრადობას.

ვ. ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი წესების შეცვლით გამოწვეული შედეგები

1. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ცვლილებით გამოწვეული შედეგები

ა) იმსჯელეთ, ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტების პირველად შემოღებით გამოწვეული შედეგების შესახებ.

ბ) იმ საკითხებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება, რომლებმაც გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ცვლილება.

გ) იმსჯელეთ იმ გავლენის შესახებ, რომელსაც მიმდინარე საკითხებს გააჩნია კორპორაციულ ანგარიშგებაზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ის მაგალითები, რომლებიც რელევანტურია ამჟამინდელი პროგრამისთვის:

(i) „კონცეპტუალური საფუძვლების“ გადასინჯვა;

(ii) ბასსს-ის „ინფორმაციის გამჟღავნების ინიციატივა“;

(iii) არსებითობა, ფინანსური ანგარიშგების თვალსაზრისით;

(iv) ცვლილებები მდგრადობის ანგარიშგებაში.